



## ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №04

2012 წლის 17 იანვარი  
ქ. ქობულეთი

#### ქობულეთის მუნიციპალიტეტის უფასო სასადილოს ბენეფიციართა სტომატოლოგიური საპროთეზო-ორთოპედიული დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმართელობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 დეკემბრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამისად დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის უფასო სასადილოს ბენეფიციართა სტომატოლოგიური საპროთეზო-ორთოპედიული დახმარების პროგრამა თანახმად დანართისა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს

(მ. ცეცხლაძე).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე

## ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიზნობრივი პროგრამა

### 1. პროგრამის (ქვეპროგრამის) დასახელება

ქობულეთის მუნიციპალიტეტის უფასო სასადილოს ბენეფიციართა სტომატოლოგიური საპროთეზო-ორთოპედიული დახმარების პროგრამა.

### 2. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

01.01 2012 -დან 31.12.2012-მდე

### 3. პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი

27 750 (ოცდაშვიდი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარი

### 4. პროგრამის დაფინანსების წყაროები

- ა) ძირითადი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 27 750 ლარი
- ბ) დამატებითი

### 5. პროგრამის (ქვეპროგრამის ) განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

### 6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა.

ქვეყანაში მოქმედებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული საპროთეზო-ორთოპედიულ და სხვა სტომატოლოგიურ მომსახურების დაფინანსება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სოციალურად დაუცველი ოჯახები, როლებიც არიან ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიზნობრივი პროგრამის „სოციალურად დაუცველი ფენისათვის მუნიციპალური უფასო სასადილოს“ ბენეფიციარები. ასეთი ოჯახების 45 წლის ასაკს გადაცილებულ წევრებს მათი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ვინაიდან სოციალური შემწეობისა და პენსიის თანხებზე არიან დამოკიდებული, არ გააჩნიათ ფინანსური საშუალება ჩაიტარონ როგორც საპროთეზო-ორთოპედიული, ასევე სტომატოლოგიური მკურნალობა. ქობულეთის მუნიციპალიტეტში დღეის მდგომარეობით არის ასეთი 111 მოქალაქე. შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ აღნიშნულ მოქალაქეებს ესაჭიროება სტომატოლოგიური და საპროთეზო-ორთოპედიული მომსახურება, რომლის საშუალო ღირებულება შეადგენს 250 ლარს. სულ ზემოაღნიშნული მომსახურებისათვის საჭიროა 27 750 ლარი.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	45 წელს გადაცილებულ სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტომატოლოგიური და საპროთეზო-ორთოპედიული მომსახურება	ბენეფიციართა ჯანმრთელობისა და სოციალური პირობების ნაწილობრივი გაუმჯობესება

8. პროგრამის (ქვეპროგრამის) სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით

2012 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	
1	ბენეფიციართა განცხადების მიღება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	
2	მომსახურების გაწევა		X	X	X	X	X	X	X	X	X	X	

9. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	სულ	
	ძირითადი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	27 750	0	0	27 750

დამატებითი	0	0	0	0
<b>სულ</b>	<b>27 750</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>27 750</b>

ბ) პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული)	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	სავარაუდო ერთეულის ფასი (ლარი)	სავარაუდო სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)
<b>2012 წელი</b>					
I	საქონელი და მომსახურება				
<b>სულ საქონელი და მომსახურება</b>					<b>0</b>
II	სოციალური უზრუნველყოფა				
1	მოსახსნელი პროტეზი (ზედა ყბის ერთი ცალი)	ბენეფიციარი	62	100	<b>6 200</b>
2	მოსახსნელი პროტეზი (ქვედა ყბის ერთი ცალი)	ბენეფიციარი	62	100	<b>6 200</b>
3	ფოლადის ან პლასტმასის მეტალოპლასმასის გვირგვინით (ერთი კბილი)	ბენეფიციარი	111	28	<b>3 140</b>
4	კბილის რენტგენოგრაფია ვიზიოგრაფია (ერთი კბილი)	ბენეფიციარი	111	5	<b>555</b>

5	კარიესის მკურნალობა (ზერელე, საშუალო ღრმა, ერთი კბილი) ჰელიობჯენით	ბენეფიციარი	111	22	2 442
6	პულპიტის მკურნალობა (არხის დაბჯენა, ანესთეზია, კბილის დაბჯენა ერთი კბილი)	ბენეფიციარი	111	30	3 330
7	პერიოდონტიტის მკურნალობა	ბენეფიციარი	111	38	4 218
8	პაროდონტიტის მკურნალობა (ერთი სენსი)	ბენეფიციარი	111	5	555
	კბილის ექსტრაქცია ანსტეზიით	ბენეფიციარი	111	10	1 110
<b>სულ სოციალური უზრუნველყოფა</b>					<b>27 750</b>
III	არაფინანსური აქტივები				
<b>სულ ჯამი</b>					<b>27 750</b>

**10. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები**

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელებ ის ვადები	შესყიდვის განხორციელებ ის ფორმა	შესყიდვისათვ ის დაგეგმილი თანხა (ლარი)	შენიშვნა
---	--	--	---------------------------------------	--	----------

1	<p>45 წელს გადაცილებულ სოციალურად დაუცველ იმ მოქალაქეთა საპროთეზო-ორთოპედიული და სხვა სტომატოლოგიური მომსახურება, ვინც ჩართულია უფასო კვებით უზრუნველყოფის მიზნობრივ პროგრამაში</p>	<p>2012 წლის პირველი კვარტალი</p>	<p>გამარტივებული ელექტრონული ტენდერი</p>	<p>27 750</p>	
---	---	-----------------------------------	--	-------------------	--

### დამატებითი ინფორმაცია

ა) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

45 წელს გადაცილებული სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, სულ 111 ბენეფიციარი, რომლებიც ჩართული არიან ქობულეთის მუნიციპალიტეტის "სოციალურად დაუცველი ფენისათვის მუნიციპალური უფასო სასადილოს" მიზნობრივ პროგრამაში და მომართავენ მუნიციპალიტეტის გამგეობას განცხადებით. გამგებლის ან გამგებლის მოადგილის რეზოლუციის თანახმად სამსახური უმზადებს მიმართვის პროექტს გამგებელს ხელშეკრულებით მომსახურე პოლიკინიკაზე.

ბ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ბენეფიციართა შერჩევა მოხდება მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ "სოციალურად დაუცველი ფენისათვის მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამი"-ით მოსარგებლე ბენეფიციარები.

მომსახურეობის სახეობებში ბენეფიციართა რაოდენობა სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, პროგრამის მსვლელობის დროს მოსალოდნელია მომსახურეობის სახეობაში არსებული ბიუჯეტის ფარგლებში (27750 ლარი) ბენეფიციართა რაოდენობის ცვლა. შესრულებული სამუშაოები სახეობების მიხედვით დაფინანსდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, მაგრამ ერთ ბენეფიციარზე არაუმეტეს 250 ლარისა.